# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

5 მარტი, სამშაბათი, 1991 წ. № 39 (10 452) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების „შევარდენიადას" დებულება

## პროექტი განხილვისათვის

### I. შესავალი

სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები (შემდეგში „თამაშები") ტარდება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მიღებული წესების შესაბამისად და მასში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ სპორტსმენს.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან სპორტის ცალკეულ სახეობებში უკონკურსოდ მონაწილეობისათვის შეიძლება როგორც სპორტსმენების, ისე სპორტული გუნდების მოწვევა.

თამაშები ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და, როგორც წესი, იმართება წინა ოლიმპიურ წელს.

სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

თამაშები ტარდება საქართველოს რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო ორგანოს, სპორტული საზოგადოებების, სპორტული ფედერაციების აქტიური ხელშეწყობითა და მონაწილეობით.

თამაშების რეკლამაზე და რესპუბლიკის ტელევიზიით მის ჩვენებაზე უფლება აქვს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომს.

### II. მიზანი და ამოცანები

სრულიად საქართველოს სპორტული თამაშები მიზნად ისახავს:

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის მეშვეობით რესპუბლიკის მოქალაქეების გაჯანსაღებას;

— მოსახლეობაში ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდასა და დამკვიდრებას.

— ფიზიკურ კულტურასა და სპორტში რეგულარული მეცადინეობისათვის ახალგაზრდების მიზიდვას.

— ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენების პოტენციური შესაძლებლობების სრულად წარმოჩენას, სპორტული რეზერვების მომზადებას, ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას;

### III. პროგრამა. შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

თამაშები ტარდება სამ ეტაპად

1. რაიონული, საქალაქო — აპრილ-მაისი

2. ზონალური (რეგიონალური) მაის-ივნისი (ზონების ჩამონათვალი თან ერთვის).

3. ფინალური — სექტემბერ-ოქტომბერი

რაიონული, საქალაქო, ზონალური (რეგიონალური) ფინალური შეჯიბრებების პროგრამაშია სპორტის შემდეგი სახეობები:

აკრობატიკა
ბადმინტონი
ბალახის ჰოკეი
ველოსპორტი
კალათბურთი
კრივი
მაგიდის ჩოგბურთი
მკლავჭიდი
მძლეოსნობა
მშვილდოსნობა
რაგბი
სასტენდო სროლა
ცხენოსნობა
სპორტული ტანვარჯიში
ტყვიის სროლა
ფარიკაობა
ფეხბურთი
ფრენბურთი
ხელბურთი
თანამედროვე ხუთჭიდი
ძალოსნობა
წყალბურთი
წყალში ხტომა
ჩოგბურთი
ცურვა
ჭადრაკი
კლასიკური ჭიდაობა
თავისუფალი ჭიდაობა
ძიუდო
სამბო

**სპორტის ეროვნული სახეობები**

ლელო
ქართული ჭიდაობა
ცხენბურთი

შეჯიბრებები, როგორც წესი, ტარდება უქმე დღეებში, ან არასამუშაო საათებში.

მონაწილეთა და მაყურებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სპორტული შეჯიბრებები ტარდება მხოლოდ ისეთ სპორტულ ნაგებობებზე, რომელთა გამოყენება ნებადართულია სახელმწიფო კომისიის მიერ და არსებობს ღონისძიების ჩატარებაზე ტექნიკური შემოწმების აქტი.

მთავარ მსაჯთა კოლეგიას უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში ზოგიერთი შეჯიბრება ჩაატაროს დახურულ შენობაში.

### IV. სპორტული თამაშების ჩატარების ხელმძღვანელობა

1. რაიონული, საქალაქო, ზონალური (რეგიონალური) შეჯიბრებ-

იხ. გვ. 2 გვ.

შენიშვნა: სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების სახელწოდება პირობითია.

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

გთავაზობთ ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატის ბოლო ორი ტურის შედეგებს:

„ნიუ-იორკი" — „ნიუ-ჯერსი" 135:106, „ინდიანა" — „ჩიკაგო" 135:114, „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" — „მინესოტა" 104:102, „მაიამი" — „დალასი" 109:103, „დენვერი" — „ორლანდო" 126:111, „სიეტლი" — „საკრამენტო" 120:106, „გოლდენ სტეიტი" — „შარლოტა" 121:108.

„პორტლენდი" — „ბოსტონი" 116:107, „იუტა" — „ფილადელფია" 95:92, „სან ანტონიო" — „ვაშინგტონი" 107:85, „ატლანტა" — „მილუოკი" 115:106, „ჰიუსტონი" — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" 104:95, „დეტროიტი" — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" 107:98.

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| „ბოსტონი" | 42 | 16 | 724 |
| „ფილადელფია" | 32 | 25 | 561 |
| „ნიუ-იორკი" | 27 | 31 | 466 |
| „ვაშინგტონი" | 22 | 36 | 379 |
| „ნიუ-ჯერსი" | 19 | 38 | 333 |
| „მაიამი" | 18 | 39 | 316 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| „ჩიკაგო" | 41 | 15 | 732 |
| „დეტროიტი" | 38 | 22 | 633 |
| „მილუოკი" | 36 | 23 | 610 |
| „ატლანტა" | 33 | 25 | 569 |
| „ინდიანა" | 27 | 30 | 474 |
| „კლივლენდი" | 20 | 37 | 351 |
| „შარლოტა" | 17 | 40 | 298 |
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| „იუტა" | 38 | 18 | 679 |
| „სან-ანტონიო" | 36 | 19 | 655 |
| „ჰიუსტონი" | 33 | 24 | 579 |
| „დალასი" | 21 | 35 | 375 |
| „ორლანდო" | 19 | 38 | 333 |
| „მინესოტა" | 18 | 38 | 321 |
| „დენვერი" | 16 | 40 | 286 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| „პორტლენდი" | 45 | 14 | 763 |
| „ლ-ა. ლეიკერსი" | 42 | 16 | 724 |
| „ფენიქსი" | 37 | 19 | 661 |
| „გოლდენ სტეიტი" | 30 | 26 | 536 |
| „სიეტლი" | 28 | 28 | 500 |
| „ლ-ა. კლიპერსი" | 20 | 37 | 351 |
| „საკრამენტო" | 15 | 41 | 268 |

## ტურნირები და შედეგები

**ჭადრაკი.** ესპანეთის საკურორტო ქალაქ ლინარესში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეექვსე დღე ერთობ მშვიდობიანი გამოდგა. ანატოლი კარპოვ — ბორის გელფანდის პარტიის გარდა, რომელიც გადაიდო, ყველა ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა (მ. გურევიჩი — ჯ. სპილმენი, ვ. სალოვი — გ. კასპაროვი, გ. კამსკი — ი. ტიმანი, ა. ბელიავსკი — ვ. ივანჩუკი, ი. ელვესტი — ა. იუსუპოვი, ვ. ანანდი — ლ. ლიუბოევიჩი.). მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ: ბელიავსკი და ივანჩუკი — 4,5-4,5; ლიუბოევიჩი და იუსუპოვი — 4-4, კასპაროვი — 3,5, ტიმანი და გელფანდი — 3 (გელფანდს 1 გადადებული პარტია აქვს), ანანდი — 3, სპილმენი და გურევიჩი — 2-2, კარპოვი და სალოვი — 1,5-1,5 (კარპოვს 1 გადადებული პარტია აქვს), კამსკი და ელვესტი — 1,5-1,5.

**მარათონი.** ნაგოიას (იაპონია) ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში გაიმარჯვა ადგილობრივმა სტაიერმა საშიკო იამაშიტამ — 2:32.02. მეორე ადგილზეა პორტუგალიელი ავრორა კუნია (2:32,12), მესამეზე — ჩეხოსლოვაკიელი ლიუდმილა მელიხეროვა (2:33.24).

**ტყვიის სროლა.** მანჩესტერში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში (პნევმატური იარაღით) შაშხანით 10 მეტრზე სროლაში ოქროს მედალი ფრანგმა ჟან ამამ მოიპოვა 697,4 ქულა, ამავე დისტანციაზე პისტოლეტით სროლაში ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა სერგეი პიჟიანოვი — 687,2 ქულა.

**ციგურები.** გერმანელმა მონიკა გარბრეხტმა ამ დღეებში მოპოვებულ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (სპრინტერულ მრავალჭიდში) დაუმატა კიდევ ერთი ოქროს მედალი — 1000 მეტრიან დისტანციაზე მსოფლიო თასის მფლობელისა. ბოლო ეტაპზე, რომელიც ჰოლანდიის დედაქალაქში ჩატარდა, მან აჩვენა 1.22,17, [illegible] ქულა დააგროვა. მეორე ადგილი დაიკავა იაპონელმა [illegible] — 132 ქულა, მესამე — ამერიკელმა ბონი ბლეირმა — 118.

**ბიატლონი.** უნგრეთის ქალაქ გალიატეტში მიმდინარეობს იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. გოგონათა ესტაფეტა 3X6 კმ მოიგო სსრკ ნაკრებმა — 1:17.25,5. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გერმანიისა და ნორვეგიის ბიატლონისტები.

**ჩოგბურთი.** როტერდამში (ჰოლანდია) მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში (საპრიზო ფონდი — 500 ათასი დოლარი) მსოფლიოს მესამე ჩოგანმა ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) მოულოდნელი მარცხი იწვნია ნაკლებადცნობილ იტალიელ ომარ კამპორეზესთან — 6:3, 6:7, 6:7.

**ხელბურთი.** ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „ქართხალი", რომელიც ზაპოროჟიეში ასპარეზობს, კიდევ ერთხელ დამარცხდა, ამჯერად კიევის არმიელებთან — 20:28 (11:15).

### მსოფლიო რეკორდები

**ცქლოსნობა.** გერმანიის ქალაქ ზინდელფინგენში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაზე იამაიკელმა მერლინ ოტიმ ქალთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე რბენაში. ამიერიდან უმაღლესი მიღწევა დარბაზებისათვის 22,24 წამი იქნება.

**ტყვიის სროლა.** მანჩესტერში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე (პნევმატური იარაღით სროლაში) მსოფლიო რეკორდი დაამყარეს გერმანელმა სპორტსმენებმა. 10 მეტრიან დისტანციაზე პნევმატური პისტოლეტით ამ ქვეყნის გუნდმა დააგროვა 1750 ქულა.

## ამიერიდან — „სპორტი"

**ასეთი დასახელების სპეციალური სამშენებლო-სარემონტო უბანი შეიქმნა ამ დღეებში. დახმარების ხელი გამოგვიწოდა ასოციაცია „თბილისმა".**

ადრე თბილისის სპორტკომიტეტთან გახსნილი იყო სპორტნაგებობათა სამმართველოს სარემონტო უბანი, რომლის გაუქმებამ დედაქალაქის სპორტული ბაზებისა და საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობის საქმე საგრძნობლად გააუარესა. ამას წინათ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და საქართველოს სპორტსახკომის ერთობლივი გადაწყვეტილებით კვლავ დაისვა სარემონტო უბნის აღდგენის საკითხი. დღევანდელ გართულებულ პირობებში პრობლემების გადაჭრა ადვილი საქმე არ არის. მით უფრო სასიხარულოა, რომ მხსნელად მოგვევლინა ისეთი ავტორიტეტული და მძლავრი ორგანიზაცია, როგორიცაა დამოუკიდებელი სამშენებლო ასოციაცია „თბილისი" (თავმჯდომარე წარსულში ცნობილი ფალავანი, სეო-ის თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის წევრი ილია ქევხიშვილი). სწორედ ამ ასოციაციასთან შეიქმნა სპეციალური სამშენებლო-სამშენებლო უბანი „სპორტი".



## თოვლს ზეიმი უხდება...

**ორიოდე** წელია, ბაკურიანში არ გამართულა მოთხილამურეთა ზეიმი, ანუ ბაკურიანობა, ახლა კვლავ აღდგა მივიწყებული სპორტული დღესასწაული. ბორჯომის სპორტკომიტეტის, სპორტსაზოგადოება „შევარდენის" და უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის ადგილობრივ ხელმძღვანელთა ერთიანი მეცადინეობით აქ გაიმართა ზეიმი თოვლზე დევიზით — „ყველანი თხილამურებზე".

ამინდმაც გაამართლა, მზის სხივები უხვად მოეფინა თეთრად გაქათქათებულ არემარეს — წინა დღეს ბაკურიანში ხვავრიელად მოთოვა.

25-მეტრიანი ტრამპლინის მიდამოებში კვირას ხალხმრავლობა იყო. ბაკურიანელების გარდა, აქ ამოსულიყვნენ მახლობელი სოფლებიდან, აგრეთვე, ბორჯომიდან, ხაშურიდან, თბილისიდან. ზოგი თხილამურებით მოვიდა ზეიმზე, ზოგი — ციგით, ზოგი თოვლმავალით, ზოგი კი... ცხენით.

...წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჯერად ბაკურიანის მიდამოებში არ ისმოდა მხიარული მელოდიები. მოგეხსენებათ, ჩვენს ხალხს დღეს არ ულხინს. და მაინც, შეჯიბრების ორგანიზატორებს, ბორჯომის სავაჭრო ორგანიზაციებს ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა ზეიმი ზეიმს დამსგავსებოდა. გაიხარეს წიგნის მოყვარულებმაც: აქ პირველად გაიმართა წიგნებით ვაჭრობა.

**სოფიკო ხეთაგაშვილი,**
„ლელოს" კორ.
ბაკურიანი.

ნუგზარ ქარელის ფოტო.

„შევარდენიადა" თუ...

## იქნებ „ივერიადა"...

გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი თქვენს მოწოდებას — ერთად ვიფიქროთ, რა დავარქვათ საქართველოს კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებას. თავდაპირველად შემოთავაზებულ „შევარდენიადას", ჩემი აზრით, „ივერიადა" სჯობს — ეს სახელწოდება უფრო ქართულია, მრავლისმეტყველი და, სხარტადაც გამოითქმის.

**შოთა ზუკაკიშვილი,**
საგარეჯო.

### გამოხმაურება

# სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების „შევარდენიადას" დებულება

(დასასრული)

ების ორგანიზაციას და ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშემწყობი რეგიონალური ჯგუფები, სპორტკომიტეტისა და სპორტული საზოგადოებების ადგილობრივი ორგანოების დახმარებითა და მონაწილეობით.

2. ფინალური შეჯიბრებების მომზადებასა და ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის დადგენილებით შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი, სპორტული ორგანიზაციების საზოგადოებებისა და სპორტული ფედერაციების ხელშეწყობითა და მონაწილეობით.

## V. სპორტული თამაშების საქალაქო, რაიონული, ზონალური პირველობები

1. თამაშების რაიონული და საქალაქო შეჯიბრებების ჩატარებას, ზონალური პირველობებისათვის გუნდების დაკომპლექტებისა და მომზადების ორგანიზაციას ახორციელებს ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი.

2. თამაშების ზონალური (რეგიონალური) შეჯიბრებების ჩატარების საერთო ხელმძღვანელობას, სპორტის ცალკეულ სახეობებში მათი ჩატარების ადგილსა და თარიღს, გამარჯვებულთა დაჯილდოების წესს განსაზღვრავენ თამაშების ჩატარების ზონალური საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთა შემადგენლობაში სეოკ-ის ხელშემწყობი რეგიონალური ჯგუფის წევრებთან ერთად, როგორც წესი, შევლენ იმ რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლებიც, რომელთა სპორტული გუნდები და სპორტსმენები მონაწილეობენ ზონალურ პირველობაში.

თამაშების ზონალური (რეგიონალური) პირველობის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა სეოკ-ის ხელშემწყობი რეგიონალური ჯგუფების წარდგინების საფუძველზე მტკიცდება თამაშების ჩატარების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე.

3. თამაშების ზონალურ და ფინალურ პირველობებში რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ტექნიკუმებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეები გამოდიან იმ რაიონის, ქალაქის, ზონის სახელით, სადაც ისინი დაიბადნენ და იზრდებოდნენ 14 წლის ასაკამდე მაინც, მიუხედავად იმისა, შეჯიბრების ჩატარების დროისათვის რა სპორტული ტიტული გააჩნია სპორტსმენს.

## VI. სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრება

1. თამაშების ფინალური შეჯიბრებების პროგრამაში შევა სპორტის ის სახეობები, რომლებშიც პირველობები გათამაშდა არანაკლებ სამ ზონაში (რეგიონში) მაინც.

2. თამაშების ფინალში ზონებიდან (რეგიონებიდან) მონაწილეობენ მხოლოდ სპორტის იმ სახეობების სპორტსმენები და სპორტული გუნდები, რომლებშიც ჩატარდა ზონალური (რეგიონალური) პირველობები.

3. ზონალურ (რეგიონალურ) პირველობაში გამარჯვებული სპორტსმენები და სპორტული გუნდები ფინალში, როგორც წესი, გამოდიან ზონის (რეგიონის) ნაკრები გუნდის სტატუსით (მაგ. აფხაზეთის ნაკრები გუნდი, აჭარის ნაკრები გუნდი, იმერეთის ნაკრები გუნდი, სამეგრელოს ნაკრები გუნდი, შიდა ქართლის ნაკრები გუნდი და ა. შ.).

4. თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება ეძლევათ ზონალურ (რეგიონალურ) პირველობებში სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში გამარჯვებულებს; სპორტის სათამაშო სახეობას თამაშების ფინალურ სტადიაზე წარმოადგენს ზონალურ (რეგიონალურ) პირველობაში გამარჯვებული გუნდი. ზონალურ პირველობაში გამარჯვებული გუნდის მწვრთნელის შეხედულებისამებრ გუნდის შემადგენლობაში, გაძლიერების მიზნით, შეიძლება მოხვდნენ ზონალურ პირველობაში მონაწილე სხვა გუნდების უძლიერესი სპორტსმენები.

5. სპორტის ცალკეულ სახეობებში ფინალური შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციას საერთაშორისო წესების მოთხოვნათა დაცვით უზრუნველყოფს სპორტის შესაბამისი რესპუბლიკური ფედერაცია.

სათამაშო სახეობებში სპორტსმენს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სპორტის არა უმეტეს ორ სახეობაში და მხოლოდ ერთი ზონის გუნდების შემადგენლობაში.

ფინალურ შეჯიბრებებში საკუთარი თხოვნით შეიძლება დაუშვან ის სპორტსმენები, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ იმ რაიონების, ქალაქების, ზონის (რეგიონის) ტერიტორიაზე 14 წლის ასაკის ჩათვლით მაინც, რომელთა სახელითაც აქვთ სურვილი გამოვიდნენ სპორტული ტიტულების, აგრეთვე შეჯიბრების ჩატარების მომენტისათვის მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ეროვნულ გვარდიაში გაწვეული სპორტსმენი თამაშებში მონაწილეობას მიიღებს იმ ზონის სახელით, საიდანაც გაწვეული იყო ეროვნულ გვარდიაში.

სპეციალისტები, რომელთაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, პროფტექნიკური სასწავლებლები, შეჯიბრებებზე დაიშვებიან იმ ტერიტორიის სახელით, სადაც განლაგებულია მათი მუდმივი სამუშაო ადგილის საწარმოები და დაწესებულებები და სადაც ისინი გაგზავნილი არიან სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. მუდმივი ჩაწერა აუცილებელია.

## VII. ფინალური შეჯიბრებების ჩატარების პირობები

1. თამაშების ფინალური შეჯიბრებები ტარდება სპორტის ცალკეული სახეობების შეჯიბრებათა წესებით, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრების ჩატარების საერთაშორისო ნორმატივებს.

სპორტის ყოველ კონკრეტულ სახეობაში შეჯიბრების დებულებას, მათ შორის სპორტსმენთა და გუნდების დაშვების წესს, შეჯიბრების სახეს (პირადი, გუნდური) განსაზღვრავს რესპუბლიკის შესაბამისი სპორტული ფედერაცია.

გუნდების განაწილება ქვეჯგუფებში ტარდება კენჭისყრით.

2. ფინალური შეჯიბრებების მთავარ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობას შესაბამისი სპორტული ფედერაციების წარდგინებით ამტკიცებს საორგანიზაციო კომიტეტი.

3. თამაშებზე ჟურნალისტთა აკრედიტაციის წესს განსაზღვრავს თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი.

## VIII. ფინალური შეჯიბრებების შეჯამება

1. თამაშების ფინალური შეჯიბრებებით გამოვლინდება:

პირად პირველობებში გამარჯვებულნი პროგრამის თითოეულ სახეობაში ცალ-ცალკე ქალებისა და ვაჟებისათვის.

გუნდურ პირველობებში გამარჯვებულნი სპორტის სათამაშო სახეობებში ცალ-ცალკე ქალებისა და ვაჟებისათვის.

## IX. დაჯილდოება

1. სპორტსმენს ან სპორტულ გუნდს, რომელიც ფინალურ შეჯიბრებაში დაიკავებს პირველ ადგილს, მიენიჭება „სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩემპიონის" წოდება.

2. სპორტსმენები (სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში) და გუნდები სპორტის სათამაშო სახეობებში, რომლებიც ფინალურ შეჯიბრებებში დაიკავებენ I, II, III ადგილებს, ჯილდოვდებიან შესაბამისი ღირსების მედლებით, მოწმობებით და ფულადი პრემიით: I ადგილისათვის 1000 მან., II ადგილისათვის 700 მან., III ადგილისათვის 500 მან.

საქართველოს რეკორდის დამყარებისათვის სპორტსმენი დამატებით ჯილდოვდება 1000 მანეთით, ევროპის რეკორდისათვის 5000 მანეთით, მსოფლიო რეკორდისათვის კი 10000 მანეთით.

3. მწვრთნელები, რომლებმაც მოამზადეს თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, ჯილდოვდებიან ფულადი პრემიით: მწვრთნელი, რომელმაც მოამზადა თამაშების ჩემპიონი სპორტის ინდივიდუალურ სახეობაში, ჯილდოვდება 1000 მანეთით, მწვრთნელები II და III პრიზიორის მომზადებისათვის ჯილდოვდებიან შესაბამისად 700 და 500 მანეთით.

მწვრთნელი, რომელმაც სპორტის სათამაშო სახეობაში მოამზადა თამაშების ჩემპიონი, ჯილდოვდება 2000 მანეთით, მეორე და მესამე პრიზიორების მომზადებისათვის მწვრთნელები ჯილდოვდებიან შესაბამისად 1000 და 700 მანეთით.

მწვრთნელი, რომელმაც მოამზადა თამაშების რამდენიმე პრიზიორი, ჯილდოვდება აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული სრული ფულადი პრემიით მხოლოდ ერთხელ, ხოლო ყოველი მომდევნო პრიზიორის მომზადებისათვის მიიღებს დებულებით გათვალისწინებული ფულადი პრემიის ნახევარს.

თუ თამაშების პრიზიორ სპორტსმენს ან გუნდს ამზადებს ერთზე მეტი მწვრთნელი, მაშინ ხდება დებულებით გათვალისწინებული ფულადი ჯილდოს განაწილება მწვრთნელებს შორის.

4. თამაშების ფინალურ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების წესს, სეოკ-ის ალმასკომთან შეთანხმებით, განსაზღვრავს თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი.

5. თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდების ბაზაზე კომპლექტდებიან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში.

## X. სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების ხარჯები

თამაშების ფინალური შეჯიბრებების მომზადების და ჩატარების ხარჯებს, მათ შორის მონაწილეთა საცხოვრებლის, კვების, მსაჯობის, განაღდებას და მსაჯების მივლინებებს (მგზავრობა შეჯიბრების ადგილამდე და უკან დაბრუნება, დღიური) თამაშების ჩატარების მთელ პერიოდში, ჩამოსვლისა და წასვლის დღის ჩათვლით, ანაზღაურებს სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

შეჯიბრების მონაწილეებისა და გუნდების წარმომადგენლების მივლინების ხარჯებს (ჩატარების ადგილამდე და უკან მგზავრობა) გაიღებენ რეგიონის სპორტული ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც ჩაირიცხებიან ზონის ნაკრებ გუნდებში.

## XI. განაცხადების წარდგინების წესი და ვადები

თამაშების ზონალური პირველობის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტები ფინალური პირველობების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტში აგზავნიან წინასწარ განაცხადებს დადგენილი ფორმის მიხედვით 5 ივლისამდე (სპორტის სახეობები, მონაწილეთა რაოდენობა, მამაკაცები, ქალები).

სახელობითი განაცხადები დადგენილი ფორმის მიხედვით და სათანადო დოკუმენტები თითოეულ მონაწილეზე (დაბადების მოწმობა, სპორტსმენის კლასიფიკაციის ჩათვლის წიგნაკი) მსაჯთა კოლეგიას წარედგინება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში შეჯიბრების დაწყებამდე არა უგვიანეს ორი დღით ადრე.

ველოსპორტში, საცხენოსნო სპორტში და თანამედროვე ხუთჭიდში წარდგენილი უნდა იქნას მონაწილეთა დაზღვევის პოლისი.

## სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ზონები (რეგიონები) და მათში შემავალი ქალაქები და რაიონები

I ზონა — აფხაზეთი

სოხუმი
გაგრის ზონა
ტყვარჩელი
გალის რაიონი
გუდაუთის რაიონი
გულრიფშის რაიონი
ოჩამჩირის რაიონი
სოხუმის რაიონი

II ზონა — აჭარა

ბათუმი
ქედის რაიონი
ქობულეთის რაიონი
შუახევის რაიონი
ხელვაჩაურის რაიონი
ხულოს რაიონი

III ზონა— იმერეთი

ქუთაისი
ტყიბულის ზონა
წყალტუბოს ზონა
ჭიათურის ზონა
ბაღდათის რაიონი
ვანის რაიონი
ზესტაფონის რაიონი
თერჯოლის რაიონი
სამტრედიის რაიონი
საჩხერის რაიონი
ხარაგაულის რაიონი
ხონის რაიონი

IV ზონა — შიდა ქართლი

გორი
ცხინვალი
გორის რაიონი
ზნაურის რაიონი
ახალგორის რაიონი
ჯავის რაიონი
ცხინვალის რაიონი
ხაშურის რაიონი
კასპის რაიონი
მცხეთის რაიონი
ქარელის რაიონი

V ზონა — ქვემო ქართლი

რუსთავი
ბოლნისის რაიონი
გარდაბნის რაიონი
დმანისის რაიონი
თეთრი წყაროს რაიონი
მარნეულის რაიონი

VI ზონა — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

დუშეთის რაიონი
ყაზბეგის რაიონი

VII ზონა — სამეგრელო

ზუგდიდი — ცენტრი
ფოთი
ზუგდიდის რაიონი
აბაშის რაიონი
მარტვილის რაიონი
სენაკის რაიონი
ჩხოროწყუს რაიონი
წალენჯიხის რაიონი
ხობის რაიონი

VIII ზონა — გურია

ოზურგეთის რაიონი
ლანჩხუთის რაიონი
ჩოხატაურის რაიონი

IX ზონა — კახეთი

თელავის რაიონი
ახმეტის რაიონი
გურჯაანის რაიონი
თიანეთის რაიონი
ლაგოდეხის რაიონი
საგარეჯოს რაიონი
სიღნაღის რაიონი
ყვარლის რაიონი
წითელი წყაროს რაიონი

X ზონა — მესხეთი

ახალციხის რაიონი
ადიგენის რაიონი
ასპინძის რაიონი
ახალქალაქის რაიონი
ბოგდანოვკის რაიონი
ბორჯომის რაიონი
წალკის რაიონი

XI. ზონა — სვანეთი

მესტიის რაიონი
ლენტეხის რაიონი

XII ზონა — რაჭა-ლეჩხუმი

ამბროლაურის რაიონი
ონის რაიონი
ცაგერის. რაიონი

XIII ზონ —
თბილისი

## სეოკ—ის ალმასკომისაგან

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, რომელიც შარშან, დეკემბერში გაიმართა, დაისვა საკითხი სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომისათვის კარგადაა ცნობილი, რომ წლევანდელი ყველა რანგის სპორტული შეჯიბრებების კალენდარი უკვე შეთანხმებული და დამტკიცებულია. მაგრამ ქართული სპორტის ინტერესებიდან გამომდინარე მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრულიად საქართველოს პირველი სპორტული თამაშების ჩატარება.

ვიცით, რომ სპორტული თამაშების დებულების პროექტი, რომელიც დღეს ქვეყნდება, აუცილებლად გამოიწვევს აზრთა სხვადასხვაობას, თუმცა, მასში უკვე გათვალისწინებულია „შევარდენის", „დინამოს", „მართვეს" შენიშვნები და წინადადებები.

აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ რამდენიმე საკითხს, რათა სპორტული საზოგადოებრიობისა და სპორტის სპეციალისტებისთვის ნათელი გახდეს სეოკ-ის ალმასკომის პოზიცია:

1. სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარებაზე განსაკუთრებული უფლება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სპორტის სახელმწიფო ორგანოებისა და სპორტული საზოგადოებების ფუნქციებში ჩვენს ჩარევას. სპორტული თამაშები ჩატარდება ოლიმპიური ციკლის შესაბამისად ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და, ლოგიკურია, რომ მისი ჩატარების კოორდინაცია ითავა სეოკ-ის ალმასკომმა.

2. კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ სპორტულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან ერთობლივი ძალისხმევით.

3. სრულიად საქართველოს სპორტული თამაშების ჩატარების მნიშვნელობისა და განსაკუთრებულობის გათვალისწინებით, ვიმედოვნებთ, რომ თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს არ მოაკლდება რესპუბლიკის მთავრობის, სამინისტროებისა და უწყებების, ფაბრიკებისა და ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ფირმებისა და ასოციაციების, ერთობლივი საწარმოების, კოოპერატივების, პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის, ცალკეული მოქალაქეების თანადგომა და პრაქტიკული დახმარება.

4. არ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი ჭეშმარიტებაა ზონების განსაზღვრის ჩვენეული პრინციპი. სპორტში ზონების პოტენციური შესაძლებლობანი რომ ერთნაირი არ არის, ეს აშკარად ჩანს, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სპორტულ სარბიელზე გადავიტანოთ ეთნიკური და კუთხობრივი დაპირისპირებანი. მეორე მხრივ, პროექტის ავტორთა სურვილია, გააცოცხლოს საქართველოს ტერიტორიის ისტორიული დაყოფის ტრადიცია. სპორტული თამაშების მიზანია სრულიად საქართველოს ერთიანობისაკენ მოწოდება, ჯანსაღი, ჭეშმარიტი, ნამდვილად სპორტული პაექრობის პროპაგანდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ოლიმპიური ტრადიციისამებრ, ჩვენ უარს ვამბობთ სრულიად საქართველოს სპორტულ თამაშებში ცალკეულ ზონებზე ქულების დარიცხვაზე და, შესაბამისად, საბოლოოდ ზონებს შორის გამარჯვებულთა გამოვლენაზე.

5. სეოკ-ის ალმასკომი პრინციპულად და შეგნებულად მიდის თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენებისა და გუნდების, მათი მწვრთნელების ე. წ. „საბჭოური" სპორტის პრაქტიკაში არნახულ მატერიალურ წახალისებაზე. მიგვაჩნია, რომ სპორტსმენისა თუ მწვრთნელის მიერ გაწეული შრომა ღირსეულად უნდა დაფასდეს.

6. პირობითად შეიძლება ჩაითვალოს შემოთავაზებული შეჯიბრების პროგრამა. ჩვენი ღრმა რწმენით, სპორტის ამა თუ იმ სახეობის პოპულარობის გათვალისწინებით მათი თამაშების პროგრამაში შეტანის საკითხზე საბოლოო სიტყვა უნდა თქვას შესაბამისმა სპორტულმა ფედერაციამ.

სპორტული ფედერაციები გადაწყვეტენ მათი სახეობის მონაწილეობის მიზანშეწონილობას თამაშებში, შეიმუშავებენ შეჯიბრების დებულებას, განსაზღვრავენ სპორტსმენთა და გუნდების დაშვების წესს და იმასაც, შეჯიბრება პირადი იყოს თუ გუნდური.

სეოკ-ის ალმასკომი აღიარებს სპორტის ცალკეულ სახეობებში შესაბამისი სპორტული ფედერაციების პოზიციის გადამწყვეტ მნიშვნელობას.

გთხოვთ, დებულებასთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები და წინადადებები გვაცნობოთ 15 მარტამდე „ლელოს" რედაქციაში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

**„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ბეშქეკი) 113:98 (59:48).**

**თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 2 მარტი.**

**თბილისი: გოგუა (6), ბარამიძე (9), სანაძე (13), თორთლაძე (6), ბერუაშვილი (2), მურაიტოვი (9), შენგელია (6), ფერიაშვილი (31), ბაქრაძე (2), დაუშვილი (8), ცხვედიანი (21).**

**ბეშქეკი: ნეფოროსნი (9), სტრელკინი (8), დერტოჩევი (12), ტაგუხოვი (15), სიროზიდანოვი (23), ისაკოვი (2), კარეტინი (16), გეკკი (13).**

**მსაჯები: ი. დერგანოვი (ვორონეჟი) და მ. ნიკოგოსიანი (ერევანი).**

ბეშქეკის (ყოფილი ფრუნზე) გუნდი სწორედ ის კოლექტივია, ვისთანაც თბილისელმა ვაჟმა კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის სტარტზე ტაშკენტში დასანანი მარცხი იწვნიეს და რომლის „წყალობითაც“ ახლა „ბ“ ჯგუფში იმყოფებიან. შემდეგ დინამოელებმა სამჯერ დაამარცხეს ბეშქეკელები, დაამტკიცეს კიდეც, რომ ტაშკენტის მარცხი შემთხვევითი იყო, მაგრამ...

განვლილ შეხვედრაში თბილისელთა მწვრთნელებმა ძირითადად ახალგაზრდებს მიანდეს შეხვედრის ბედი. ამ დღეს მოედანზე ვერ ვიხილეთ დავით უსტიაშვილი, რომელიც ავად იყო, გია სანაძემ მხოლოდ პირველი ნახევარი ითამაშა, სხვა შეხვედრებთან შედარებით ასევე მცირე დრო დაჰყო მოედანზე კახა შენგელიამ, მეორე ტაიმში გამოვიდა შალვა ცხვედიანი... მოკლედ, ჩვენი პირველი გუნდი ერთობ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა.

შეხვედრის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ თბილისელებს არ გაუჭირდებოდათ მეტოქის დამარცხება. პირველი ნახევარი ქართველმა კალათბურთელებმა თერთმეტი ქულის სხვაობით — 59:48 მოიგეს. არც მეორე ტაიმში შეცვლილა რაიმე და საბოლოოდ თბილისელებმა გაიმარჯვეს კიდეც — 113:98. იმ დღეს კიდევ ერთი ახალბედა კალათბურთელი ვიხილეთ დინამოელთა რიგებში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონთა გუნდის წევრი ვასიკო გოგუა, რომელიც 58-ე კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის აღსაზრდელია.

მომავალ შეხვედრას თბილისის „დინამო“ 5 მარტს გამართავს — უმასპინძლებს ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“.

**სხვა შეხვედრები.** გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატში შაბათ-კვირას გამართული მატჩების შედეგებს: რტი (მინსკი) — „მახტიორი“ (ნერიუნგრი) 103:73 (49:34), ნკი (ნიკოლაევი) — ასკ (კიევი) 84:91 (39:53), „უზსტროიმეხანიზაცია“ (ტაშკენტი) — ასკ (ალმა-ათა) 91:96 (36:49), ცსკა — „ბუდიველნიკი“ (კიევი) 102:95 (59:47), „სტროიტელი“ (კუიბიშევი) — „დინამო“ (მოსკოვი) 91:94 (46:47).



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 86:74 (50:37)**

**თბილისი. გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზი. 1 მარტი.**



**სტუ: ლორია (23), ყიფშიძე, სირაძე (3), მხეიძე (36), ბუხლიშვილი (11), ომიაძე (5), კურტანიძე (4), მ. მაისურაძე (4), მირიანაშვილი.**

**„დინამო“: ბარანოვა (20), მიხაილოვა (6), ივაშინა (8), შატეორკინა (6), მაკლაკოვა (6), რასენჩუკი (4), ბაშკიროვა, ტიურინა (15), ვასილიევა, მინაევა (9).**

**მსაჯები: მ. ნიკოგოსიანი (ერევანი) და ი. დერგანოვი (ვორონეჟი).**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა თებერვალში ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჩაატარა სტუმრად: ნიჟნი ნოვგოროდში დამარცხდა ადგილობრივ „შრომით რეზერვებთან“ 71:81 (40:41); შემდეგ სვერდლოვსკში კვლავ წააგო „ურალმაშთან“ — 76:97 (52:42); ლენინგრადის „ვოლნასთან“ გაიმარჯვა — 67:59 (31:34) და ლვოვში სძლია „ლვოვგორსტროის“ — 91:86 (42:39).

მართალია, მოსკოველთა გუნდი ახალგაზრდულია, მაგრამ ხელწამოსაკრავი მეტოქე არ გახლავთ — ყოველთვის შეუძლია რაიმე მოულოდნელობა შესთავაზოს მეტოქეს. განვლილ შეხვედრაში თავიდანვე თბილისელები უწინაურდნენ და ტაიმის ბოლომდე ანგარიშში სხვაობა 13 ქულა იყო ქართველ კალათბურთელთა სასარგებლოდ, 50:37 — ასეთი ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე. მეორე ნახევრის პირველი წუთები — კვლავ თბილისელთა უპირატესობა, ანგარიშში სხვაობამ 17 ქულასაც მიაღწია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ქულათა მარაგს შენარჩუნება სჭირდება. თბილისელებმა ყურადღება მოადუნეს, რითაც კარგად ისარგებლა მეტოქემ, მაგრამ თამაშის ბოლოს, ქულათა სხვაობა მაინც საიმედო იყო. 86:74 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს ჩვენმა გოგოებმა. კალათბურთი, მოგეხსენებათ, კოლექტიური თამაშია, მაგრამ განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს შეხვედრა მედეა მხეიძემ (რომელმაც გუნდს 36 ქულა შესძინა) და გუნდის კაპიტანმა ნატო ლორიამ (23 ქულა).

მომდევნო მატჩს ჩვენი კალათბურთელები კვლავ შინ ითამაშებენ — 6 მარტს უმასპინძლებენ პენზის „სპარტაკს“.

## ეს-ესაა შევიტყვეთ

ევროპის საფეხბურთო სტადიონებზე გაიმართა ეროვნული ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

### იტალია

„სამპდორიასა“ და „ინტერნაციონალეს“ მრავალკვირიანი დაუსწრებელი დავა დამთავრდა იმით, რომ 23-ე ტურში „ინტერი“ ბოლოს და ბოლოს დაეწია ლიდერს. პარასკევს ჩატარებული შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ, აგრეთვე, „მილანის“ დამაჯერებელი გამარჯვება „ნაპოლისთან“.

გთავაზობთ 23-ე ტურის შედეგებს:

„ატლანტა“ — „სამპდორია“ 1:1, „ჩეზენა“ — „ბოლონია“ 3:2, „ჯენოვა“ — „ბარი“ 3:1, „ლაციო“ — „იუვენტუსი“ 1:0, „ლეჩე“ — „რომა“ 1:1, „მილანი“ — „ნაპოლი“ 4:1, „პარმა“ — „ფიორენტინა“ 1:0, „პიზა“ — „ინტერნაციონალე“ 0:1, „ტორინო“ — „კალიარი“ 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სამპდორია“ | 13 | 7 | 3 | 33 |
| „ინტერი“ | 13 | 7 | 3 | 33 |
| „მილანი“ | 12 | 8 | 3 | 32 |
| „იუვენტუსი“ | 10 | 8 | 5 | 28 |
| „პარმა“ | 10 | 7 | 6 | 27 |
| „ჯენოვა“ | 9 | 8 | 6 | 26 |
| „ლაციო“ | 6 | 14 | 3 | 26 |
| „ტორინო“ | 8 | 8 | 7 | 24 |
| „რომა“ | 8 | 8 | 7 | 24 |
| „ნაპოლი“ | 6 | 10 | 7 | 22 |
| „ბარი“ | 7 | 7 | 9 | 21 |
| „ფიორენტინა“ | 5 | 10 | 8 | 20 |
| „ატლანტა“ | 5 | 10 | 8 | 20 |
| „ლეჩე“ | 4 | 11 | 8 | 19 |
| „პიზა“ | 6 | 5 | 12 | 17 |
| „კალიარი“ | 2 | 11 | 10 | 15 |
| „ბოლონია“ | 3 | 8 | 12 | 14 |
| „ჩეზენა“ | 4 | 5 | 14 | 13 |

### ესპანეთი

24-ე ტური ლიდერებისთვის მშვიდობიანი გამოდგა. „ბარსელონამაც“ და მადრიდის „ატლეტიკომაც“ მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს. „ოსასუნამ“ ქულა დაკარგა გასვლაზე, მაგრამ სატურნირო ცხრილში მაინც მესამე ადგილზე იმყოფება. ამ ტურში სტუმრად მხოლოდ „ვალენსიამ“ ივარგა, რომელმაც ორი ქულა აართვა „მალიორკას“ მის სტადიონზე.

გთავაზობთ შედეგებს: „ბარსელონა“ — „ტენერიფე“ 1:0, „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „ატლეტიკო“ (ბილბაო) 2:0, „სპორტინგი“ — „ოსასუნა“ 1:1, „სევილია“ — „ბეტისი“ 3:2, „მალიორკა“ — „ვალენსია“ 0:1, „სარაგოსა“ — „ესპანიოლი“ 1:1, „კადისი“ — „რეალი“ (მადრიდი) 1:0, „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „ოვიედო“ 3:1, „ლოგრონიესი“ — „ბურგოსი“ 0:0, „კასტელონი“ — „ვალიადოლიდი“ 4:2.

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 18 | 4 | 2 | 40 |
| „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 13 | 9 | 2 | 35 |
| „ოსასუნა“ | 11 | 9 | 4 | 31 |
| „რეალი“ (მადრიდი) | 12 | 4 | 8 | 28 |
| „სევილია“ | 12 | 4 | 8 | 28 |
| „სპორტ.“ (ხიხონი) | 9 | 8 | 7 | 26 |
| „ვალენსია“ | 10 | 6 | 8 | 26 |
| „ლოგრონიესი“ | 9 | 7 | 8 | 25 |
| „ოვიედო“ | 8 | 8 | 7 | 24 |
| „ბურგოსი“ | 6 | 10 | 8 | 22 |
| „სან-სებასტიანი“ | 6 | 10 | 8 | 22 |
| „სარაგოსა“ | 7 | 7 | 10 | 21 |
| „ესპანიოლი“ | 7 | 7 | 10 | 21 |
| „ატლეტ.“ (ბილბაო) | 9 | 12 | 12 | 20 |
| „მალიორკა“ | 7 | 6 | 11 | 20 |
| „კასტელონი“ | 5 | 10 | 9 | 20 |
| „ვალიადოლიდი“ | 5 | 9 | 10 | 18 |
| „ტენერიფე“ | 7 | 4 | 13 | 18 |
| „კადისი“ | 4 | 9 | 11 | 17 |
| „ბეტისი“ | 4 | 7 | 13 | 15 |

### საფრანგეთი

**29-ე ტური.** „ოსერი“ — „ტულონი“ 3:0, „ლიონი“ — „ნანსი“ 0:1, „ნანტი“ — „პარი სენ ჟერმენი“ 2:0, „სოშო“ — „ლილი“ 1:0, „ბორდო“ — „სენტ ეტიენი“ 2:1, „ტულუზა“ — „კანი“ 2:2, „კაენი“ — „ბრესტი“ 1:2, „მეცი“ — „რენი“ 2:0, „მარსელი“ — „მონაკო“ 1:0, „ნიცა“ — „მონპელიე“ 2:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მარსელი“ | 29 | 58-20 | 43 |
| „მონაკო“ | 29 | 35-28 | 37 |
| „ოსერი“ | 28 | 43-27 | 35 |

### ბელგია

**24-ე ტური.** „ანტვერპენი“ — „ვარეგემი“ 1:0, „სერკლი“ (ბრიუგე) — „მოლენბეკი“ 1:1, „ლოკერენი“ — „მეჰელენი“ 0:1, „კურტრე“ — „ბრიუგე“ 2:2, „ეკერენი“ — „გენკი“ 2:0, „ლიეჟი“ — „სტანდარდი“ 4:2, „სენტ ტრიუდენი“ — „ბეერშოტი“ 1:1, „გენტი“ — „შარლერუა“ 1:1, „ანდერლეხტი“ — „ლიერსი“ 1:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „გენტი“ | 24 | 52-22 | 39 |
| „ანდერლეხტი“ | 24 | 56-18 | 37 |
| „მეჰელენი“ | 24 | 40-20 | 35 |

### ინგლისი

**27-ე ტური.** „ქოვენტრი“ — „კრისტალ პალასი“ 3:1, „დერბი“ — „სანდერლენდი“ 3:3, „ლუთონი“ — „ნოტინგემი“ 1:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ევერტონი“ 0:2, „ქუინს პარკი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:0, „შეფილდი“ — „ასტონ ვილა“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „ლიდსი“ 2:0, „ტოტენჰემი“ — „ჩელსი“ 1:1, „უიმბლდონი“ — „ნორვიჩი“ 0:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „არსენალი“ | 26 | 48-12 | 57 |
| „ლივერპული“ | 26 | 47-23 | 54 |
| „კრისტალ პალასი“ | 27 | 35-30 | 49 |

### შოტლანდია

**27-ე ტური.** „აბერდინი“ — „რეინჯერსი“ 1:0, „სელტიკი“ — „სენტ ჯონსტონი“ 3:0, „დანდი იუნაიტედი“ — „დანფარმლაინი“ 1:0, „ჰიბერნიანი“ — „სენტ მირენი“ 4:3, „მოზერუელი“ — „ჰარტსი“ 1:3.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი“ | 26 | 51-15 | 41 |
| „აბერდინი“ | 26 | 48-30 | 36 |
| „დანდი იუნაიტედი“ | 27 | 35-21 | 34 |

### საბერძნეთი

**21-ე ტური.** აეკი — „ათინაიკოსი“ 0:1, „პანაჰაიკი“ — „პანათინაიკოსი“ 3:2, „ოლიმპიაკოსი“ — „ლარისა“ 2:0, „აპოლონი“ — „პანიონიოსი“ 2:2, „პაოკი“ — „იანინა“ 4:1, ოფი — „იონიკოსი“ 5:3, „არისი“ — „ხანტი“ 0:0, „ლევადიაკოსი“ — „დოხა“ 1:1, „პანსერაიკოსი“ — „ჰერაკლისი“ 0:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი“ | 21 | 47-15 | 33 |
| „ოლიმპიაკოსი“ | 21 | 50-17 | 29 |
| აეკი | 21 | 35-14 | 27 |

### გერმანია

„ბაიერნი“ — „სენტ პაული“ 0:1, „აინტრახტი“ — „კაიზერსლაუტერნი“ — 4:3, „ჰამბურგი“ — „ფორტუნა“ 1:0, „ჰერტა“ — „შტუტგარტი“ 0:2, „დორტმუნდი“ — „კარლსრუე“ 2:2, „ნიურნბერგი“ — „ლევერკუზენი“ 1:0, „კიოლნი“ — „ბოხუმი“ 0:0, „ვატენშეიდი“ — „იურდინგენი“ 0:0.

### ჰოლანდია

„ეინდჰოვენი“ — „ფეიენოორდი“ 6:0, სვვ — „ფორტუნა“ 2:0, რკკ — ნაკ 3:0, „დენ ჰააგი“ — „ვოლენდამი“ 1:3, „აიაქსი“ — „გრონინგენი“ 1:1, „სპარტა“ — „ტვენტე“ 1:3, „ვიტესი“ — „ვილემ II“ 2:0, „ჰერენვენი“ — მვვ 1:0, „როდა“ — „უტრეხტი“ გადაიდო.

### იუგოსლავია

„სპარტაკი“ — „ჟელეზნიჩარი“ 1:2, „ზემანი“ — „პარტიზანი“ 2:2, „სლობოდა“ — „რადნიჩკი“ 1:0, „ვოივოდინა“ — „რადი“ 2:1, „ოსიეკი“ — „ველეჟი“ 2:1, „სარაევო“ — „ბუდუჩნოსტი“ 1:0, „დინამო“ — „რიეკა“ 3:1, „ჰაიდუკი“ — „ოლიმპია“ 2:0, „ცრვენა ზვეზდა“ — „პროლეტარი“ 1:2.

### ჩეხოსლოვაკია

„ზბრიოვკა“ — „ვიტკოვიცე“ 5:0, „ბანიკი“ — „სიგმა“ 1:3, „დუნაისკა სტრედა“ — „სლავია“ 0:0, „სლოვანი“ — „დუკლა“ (პრაღა) 1:0, „ბოჰემიანსი“ — „ტატრანი“ 3:2.

(საკუთარი ინფორმაცია)

## პაექრობა გრძელდება

**ნინო** სალუქვაძე და იასნა სეკარიჩი — შესაძლოა ზუსტად ვერ გავიხსენოთ, როდის დაიწყო ამ ორი სპორტსმენის პაექრობა, მაგრამ, ფაქტია, ქართველი და იუგოსლაველი მსროლელების ერთდროული მონაწილეობა ნებისმიერ შეჯიბრებაში იმის მომასწავებელია, რომ, ან ერთი უნდა დაეუფლოს ოქროს მედალს, ან მეორე. თუმცა, ისიც გვემახსოვრება, რომ ამ „დუელში“ გამარჯვებული უფრო ხშირად ნინო სალუქვაძე გამოდის ხოლმე.

ამჯერად კი, იასნა სეკარიჩი გამოდგა იღბლიანი. მან მანჩესტერში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ყველაზე მეტი სიზუსტე გამოიჩინა პნევმატური პისტოლეტით მსროლელ გოგონათა შორის. და ჩემპიონობა მოიპოვა. მართალია, ნინო სალუქვაძე მხოლოდ მესამე იყო, მაგრამ, რომ იტყვიან, ესეც საქმეა, თუ გავითვალისწინებთ, იმ უძლიერეს შემადგენლობას, რომელმაც ინგლისში მოიყარა თავი.

ევროპის ჩემპიონატი კი, რა თქმა უნდა, ამ ორი „დუელიანტის“ ბოლო ორთაბრძოლა არ არის.

პაექრობა გრძელდება!

## ინფორმაცია

**საბჭოთა** კავშირის მრავალი ქალაქის ჩოგბურთელები ჯიბრებოდნენ ერთმანეთს მოსკოვის ოლქის ქალაქ ოდინცოვოში გამართულ ტურნირზე, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ სოხუმელი ჩოგბურთელები — სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენლები.

ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა თეიმურაზ ფაცხვარიამ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ა. იუგინი (მოსკოვის „სპარტაკი“). გოგოებს შორის მაგდა აბლოთიამ ვერცხლის მედალი მოიპოვა — ფინალში იგი გამოცდილ სევასტოპოლელ სპორტსმენთან — ა. გერმანოვიჩთან დამარცხდა. სოხუმელი ჩოგბურთელები ოდინცოვოში გამართული ტურნირისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: ი. ბლუაშვილმა და რ. დილენიანმა.

**თენგიზ პაჭკორია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

## ტურნირები და შედეგები

**თავისუფალი ჭიდაობა.** მინსკში დამთავრდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე მედვედის სახელობის საერთაშორისო ტურნირი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვუგარ ორუჯევი (გომელი), მაულენ მამიროვი (ყარაღანდა), სერგეი სმალი (გომელი), ოლეგ გოგოლი (გროდნო), ვადიმ ბოგიევი (მოსკოვი), იხაგაჯი გაჯიევი, ელმადი ჟაბრაილოვი (ორივე — მახაჩყალა), ს. კოვალევსკი (არზამასი), ანდრეი გოლოვკო (ჩერკასკი), ოლეგ ნანიევი (ვლადიკავკაზი).

### მსოფლიო რეკორდები

**მძლეოსნობა.** დიდ ბრიტანეთ-აშშ-ის ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში, რომელიც გლაზგოში ჩატარდა, მასპინძელთა გუნდმა ესტაფეტაში 4X200 მ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის — 1.22,11. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ლინფორდ კრისტი, დარენ ბრეითუეიტი, ეიდ მეიფი და ჯონ რეჯისი. ძველი რეკორდი (1.22,32), რომელიც დამყარებული იყო 1984 წელს, იტალიის ნაკრებს ეკუთვნოდა.

### ● თუ გაუმართლა მონიკა სელეშს...

### ● ფინალში — ძმები

**პალმ სპრინგსი (აშშ).** 18 წლის იუგოსლაველ ჩოგბურთელს მონიკა სელეშს აქვს შანსი გაუსწროს გერმანელ შტეფი გრაფს და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდეს. ამისათვის ვირჯინია სლიმზის სერიის ტურნირის ფინალში ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა უნდა დაამარცხოს.

ნახევარფინალში სელეშმა აჯობა კანადელ ჰელენ კელეშის (6:0, 6:3), ნავრატილოვამ კი ფრანგი ნატალი ტოზიე დაამარცხა 6:3, 7:6.

**ჩიკაგო.** აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში (საპრიზო ფონდი 250 ათასი დოლარი) ჯონ მაკინროუმ აჯობა თავის უმცროს ძმას პატრიკს — 3:6, 6:2, 6:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლინარესის სუპერტურნირი: იწყება მეორე ნახევარი

დიდი ინტერესი ლინარესის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირისადმი სავსებით გასაგებია: რეიტინგის მიხედვით (მეჩვიდმეტე კატეგორია!) თუ ვიმსჯელებთ, ასეთი სიძლიერის შეჯიბრება ჯერ არ ჩატარებულა. ის ფაქტი, რომ ასპარეზობაში მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონობის ექვსი პრეტენდენტი რვიდან (არ თამაშობენ მხოლოდ კორჩნოი და შორტი), ასევე ძალიან საყურადღებოა.

ახლა, როცა უკან დარჩა პაექრობის პირველი ნახევარი, რა თქმა უნდა, შეიძლება ზოგიერთი წინასწარი დასკვნის გამოტანა.

მსოფლიო ჩემპიონს გარი კასპაროვს ჯერჯერობით არა აქვს ისეთი მაღალი შედეგი, მის წოდებას რომ შეეფერება. ამაში რაიმე განსაკუთრებულს ჩვენ ვერ ვხედავთ. ცნობილია, რომ კასპაროვი (ტალისა არ იყოს) მძიმედ იწყებს თითქმის ყოველ შეჯიბრებას და შემდეგ თანდათან „ამოძრავდება" ხოლმე. აი, ლინარესშიც ჩემპიონი პირველივე ტურში დამარცხდა შავებით ივანჩუკთან, რომელთანაც შუა თამაშში სტრატეგიულად წასაგები პოზიცია მიიღო. ეს წაგება, თანაც ისეთ დიდოსტატთან, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნევენ, რა თქმა უნდა, მტკივნეული იყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამას ტრაგიკული შედეგები არ მოუტანია. ჯერ ერთი, თუ სტარტზე „ჩვეულებრივ გექცა" წაგება. დეე მოსახდენი პირველ ტურშივე მოხდეს. ლინარესის ასპარეზობა, რა თქმა უნდა, „მარათონული" არ არის, მაგრამ არც „სპრინტერულია". ასე რომ, მდგომარეობის სავსებით გამოსწორების შესაძლებლობა ჯერ კიდევ რჩება — კასპაროვი კვლავინდებურად ითვლება პირველი ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტად და ერთქულიანი „დისტანცია", რომელიც მას ლიდერებისგან აშორებს, ჯერჯერობით სავსებით დასაძლევია.

აი, მსოფლიო პირველობის მატჩის მეორე მონაწილეს — ანატოლი კარპოვს კი, თუ რაიმე არ ილონა, მთელი თავისი საჭადრაკო კარიერის მანძილზე უმძიმესი სატურნირო ჩავარდნა ემუქრება. პირველ 6 ტურში მან სამი პარტია წააგო (ანანდთან, ლიუბოევიჩთან, ივანჩუკთან) — ეს უკვე მეტისმეტია! საყურადღებოა, რომ კარპოვი თეთრებით ეთამაშებოდა თავის მომავალ მეტოქეს პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში — ინდოელ ანანდს და ენდშპილში მძიმე მარცხი იწვნია. ჩვენი აზრით, ცოტა ნაადრევია ლაპარაკი კარპოვის საჭადრაკო „აღსასრულზე", მაგრამ მეტოქეებმა „ხელი რომ შეაჩვიეს", ეს ფაქტია. დღევანდელ მერვე ტურში კარპოვი თეთრებით ეთამაშება თავის ისტორიულ „რაყიფ" კასპაროვს. ეს იქნება ამ მეტოქეების 156-ე პარტია (ამასთან, მსოფლიო ჩემპიონი სამი ქულით არის წინ). ვნახოთ!

ახლა კი ზოგი რამ ლიდერების შესახებ. ალექსანდრე ბელიავსკი დიდი ალმაცლობით იბრძვის, ერთხელ კი ნამდვილად გაუმართლა — ანანდთან სავსებით წასაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა. ვასილი ივანჩუკს, კიდევაც რომ დაკარგოს ლიდერობა, ამ ტურნირში უკვე ბევრი რამ აქვს საამაყო — კასპაროვიც დაამარცხა და კარპოვიც. საკმაოდ მოულოდნელი იყო იუსუპოვის ზედიზედ სამი მოგება. საქმე ის არის, რომ ეს მეტისმეტად სოლიდური და წინდახედული დიდოსტატი ხშირად არ ამწვავებს ბრძოლას, უცდის მეტოქეებს. ეტყობა, იუსუპოვი ამ ტურნირში კარგ შედეგს მიაღწევს, თუმცა მისი ჩათვლა პირველი ადგილის პრეტენდენტად ძნელია — ამისათვის სხვა „სიჩქარეებია" საჭირო.

ზოგი რამ სუპერტურნირის დებიუტანტების შესახებ. ეტყობა, შორს არ არის ის დრო, როდესაც ანანდი მსოფლიო ჩემპიონობის სრულიად რეალური პრეტენდენტი გახდება. საყურადღებოა მისი თამაშის მანერაც — ინდოელი მოქმედებს ძალიან სწრაფად (ფიშერისებურად!): პარტია რომ მთავრდება, მას საათი, საათნახევარი დრო რჩება. ეს, რა თქმა უნდა, მის ნიჭზე მეტყველებს, მაგრამ მიმომხილველები იმასაც ამჩნევენ, რომ ეს არაჩვეულებრივი სისწრაფე, მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც ზერელობაში გადადის. უკვე ოთხჯერ დამარცხდა კამსკი, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ იგი მხოლოდ 16 წლისაა და ასეთ სუპერტურნირში მხოლოდ მეორედ თამაშობს (ოქტომბერში ტილბურგში გაიმარჯვა).

ერთი სიტყვით, ფინიში მოახლოვდა. ეჭვგარეშეა, იგი ბევრ საინტერესოს გვპირდება.

**ბიჭი ბამრეკელი**

## ნიკოლოზ კალანდაძე



თაობათა ფიზიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს მოახმარა მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა ნ. კალანდაძემ. 1946 წლიდან გარდაცვალებამდე იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ტექნიკური უნივერსიტეტის) ფიზიკური აღზრდის კათედრაზე მუშაობდა უფროს მასწავლებლად. ეს უმაღლესი სასწავლებელი მისთვის მშობლიური იყო, რადგან იქვე, 1941 წელს დაამთავრა სამშენებლო ფაკულტეტი, შემდეგ საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სწავლობდა და 1960 წელს ფიზაღზრდის მასწავლებლის სპეციალობაც მიიღო.

შრომითი საქმიანობა მუშის ხალათით დაიწყო. ყმაწვილობიდან იტაცებდა სპორტი, ამან გადაწყვიტა საბოლოო არჩევანი. ჯერ კიდევ 1933 წელს, 20 წლის ჭაბუკს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად იღებენ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც სამ წელზე მეტი დაჰყო. 1936-1937 წლებში ქართული ლეგიონის ფიზკულტურის ინსტრუქტორი იყო, მერე საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში იმუშავა მასწავლებლად, გამოიარა მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიანი დღეები, დაჯილდოებული იყო ორდენით და ორი მედლით.

შესანიშნავი მოქალაქისა და გულისხმიერი აღმზრდელის ნ. კალანდაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და სტუდენტების გულებში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

# სპორტული მარტი

**5-7. მშვილდოსნობა.** ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი. **თბილისი.**

**5-10. ცხენოსნობა.** ამიერკავკასიის რესპუბლიკის თასის გათამაშება. **თბილისი.**

**6-8. საწონებით შეჯიბრება.** საქართველოს რესპუბლიკის თასის გათამაშება. **თელავი.**

**7-10. ხელბურთი.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი. II ტური. (ვაჟები). **თელავი.**

**8-10. მძლეოსნობა.** საქართველოს რესპუბლიკური შეჯიბრება გრძელ ტყორცნებში. **თბილისი.**

**10.15. საგზატკეცილო ველოსპორტი.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1975-1976 წ.წ. დაბადებულთა შორის. **ლაგოდეხი.**

**11-14. ხელბურთი.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი. II ტური. (ვაჟები). **ქუთაისი.**

**11-17. აფროსნობა.** საქართველოს რესპუბლიკის თასის გათამაშება. **ფოთი.**

**11-1/IV. ჭადრაკი.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა. ვაჟები. I ლიგა. **წყალტუბო.**

**12-24. საგზატკეცილო ველოსპორტი.** მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატსა და საკავშირო შეჯიბრებაში. I-II ტური. კრიტერიუმი (ვაჟები). **სოხუმი.**

**14-17. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1975-1976 წ.წ. დაბადებულთა შორის. **ტყიბული.**

**14-17. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1971-1972 წ.წ. დაბადებულთა შორის. **სამტრედია.**

**14-17. სამბო.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1973-1974 წ.წ. დაბადებულთა შორის. **კასპი.**

**15-24. სამთო-სათხილამურო სპორტი.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი. **გუდაური.**

**18-27. ფარიკაობა.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი, რაპირა, ხმალი, დაშნა. **ქუთაისი**

**19-22. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1973-1975 წ.წ. დაბადებულთა შორის. **ხაშური.**

**19-23. ძალოსნობა და საწონებით შეჯიბრება.** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1975-1976 წ.წ. დაბადებულთა შორის. **საჩხერე.**

**20-24. ხელბურთი.** მონაწილეობა საკავშირო პირველობაში, იუნიორები. **თბილისი.**

**21-24. ძიუდო.** ა. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 1974-1976 წ.წ. დაბადებულთა შორის (ვაჟები, ქალები). **თბილისი.**

**23-24. ათლეტიზმი. (თავისუფალი ვარჯიში).** საქართველოს რესპუბლიკის პირველობა 1972 წლიანებსა და უმცროს ასაკში. **თბილისი.**

**28-31. აკრობატიკა.** საქართველოს რესპუბლიკური შეჯიბრება. **თბილისი.**

**28-31. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი. **თბილისი.**

**30-31/IV. ხელბურთი.** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ჩემპიონატი. III ტური (ვაჟები). **თბილისი.**

# მართლაც რომ „ცეზარი"?!

**ახლა** ბევრი ექსპერტი თვლის, რომ იგი მსოფლიოში საუკეთესო მოკრივეა. რომის იმპერატორის სახელს ატარებს და რინგზე მართლაც რომ ცეზარს ჰგავს.

ლაპარაკია, განთქმულ მექსიკელ მოკრივე ხულიო ცეზარ ჩავესზე. თვით ცეზარი კი საკმაოდ მოკრძალებულია:

„არა მგონია, რომ მსოფლიოში საუკეთესო ვიყო, ისე, სახელი მართლაც არ მაკლია".

სპეციალისტები მის ასეთ თავმდაბლობას სტატისტიკური მონაცემებით უპასუხებენ ხოლმე: ჩავესი — წონა 61,235 კგ; გამართა 70 მატჩი და ყველა (!) მოიგო, აქედან 58 — ნოკაუტით.

ჟურნალისტები მას ამტყუნებდნენ, რომ ყოველნაირად არიდებდა თავს ლეონარდთან შეხვედრას. ამ საყვედურს „ცეზარმა" ისე უპასუხა, „მეფეს" ნამდვილად არ შეეფერებოდა:

— ყველაფერი თანხაზეა დამოკიდებული. თუ კარგად გადამიხდიან, თანახმა ვარ, ტაისონსაც კი შევხვდე, თუნდაც ამის შემდეგ, რინგიდან საკაცით გამიტანონ და კრივთან სამუდამოდ გამოთხოვება მომიხდეს.

ჩავესი დაიბადა 1962 წლის 12 ივლისს მექსიკის ერთ მიყრუებულ პროვინციაში. დღეს ცხოვრობს პროფესიული კრივის მექაში — ლოს ანჯელესში. 172 სმ სიმაღლისაა. უძლიერესად ურტყამს მარცხენა ხელით, მარჯვენასაც მშვენივრად ხმარობს.

როცა სთხოვენ, რინგზე გამართული რომელიმე შეხვედრა გაიხსენეო, ყოველთვის იგონებს მსოფლიო ჩემპიონის წოდების პირველად დაცვას თანამემამულე რუბენ კასტილიოსთან: მატჩის წინადღით ვერაფრით ვერ დამშვიდდა. იძულებული გახდა, ფსიქიატრთან წასულიყო. დაიწყო თუ არა ბრძოლა, ძალზე დაბნეული, პასიური იყო. იფიქრეს, ნაადრევად ხომ არ მიიღო აღმგზნები საშუალება და შემდეგ ამიტომ ხომ არ მოდუნდაო. როგორც იყო, 12 რაუნდი გაძლო, მაგრამ მსაჯებმა მაინც მას მიანიჭეს უპირატესობა.

ერთი დიდი მეგობარი ჰყავს — მადრიდის „რეალის" მექსიკელი თავდამსხმელი უგო სანჩესი. კვირა არ გავა, რომ მათ ტელეფონით არ ისაუბრონ, თავიანთი სპორტული შთაბეჭდილებები ერთმანეთს არ გაუზიარონ.

როცა ჩავესი რინგზეა და მსოფლიო ჩემპიონის წოდებას იცავს, მთელ მექსიკაში ცხოვრება თითქოს კვდება — ყველა ტელევიზორს შემოუსხდება ხოლმე...

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-8 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 1.374.628 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამიტომ ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი (10.273 მანეთი) დაემატება მე-9 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს. ამრიგად მე-9 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგები ფონდის დანაზოგია 20.571 მანეთი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (36) მოგება 2.571 მანეთია. ოთხისთვის (1.829) — 131, სამისთვის(148) — 3 (სამი ნომრის გამოცნობისთვის მოგება გაიცემა მხოლოდ მე-9 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთებისთვის).

საქართველოში: დაშვებულია 31.376 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—54, 3—0.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 19.231.424 ვარიანტი, 5 ნომრის გამოცნობისთვის (52) მოგება 11.095 მანეთია, ოთხისთვის (6.819) — 148, სამისთვის (216.260) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 450.849 ვარიანტი. 5—2 (თბილისი), 4—174, 3—5.182.

მე-8 და ამავე ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 16 მარტიდან 16 აპრილის ჩათვლით.

**გაიმართა** „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-9 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 19 (სათხილამურო რბოლები).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 22 (წყალში ხტომა), 29 (სასტენდო სროლა), 31 (ფარიკაობა).

# 16 მარტს, თვიქნემში...

**ხუთი** ერის პირველობის IV ტურში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ლიდერებმა ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებებმა გაიმარჯვეს და ახლა ჩემპიონის ბედი ბოლო ტურში, მათ შეხვედრაში გადაწყდება, რომელიც 16 მარტს ლონდონის გარეუბან თვიქნემში გაიმართება.

გასულ შაბათს ფრანგებმა უელსელებს უმასპინძლეს და სასტიკად გაუსწორდნენ — 36:3. მასპინძელთა უკანა ხაზის ყველა მოთამაშემ №. №. (11-15) თითო ლელო გაიტანა, ერთიც მეორე ხაზის მორკინალზე მოდის. უელსელებმა კი იმით დაამახსოვრეს თავი მაყურებელს, რომ მათმა კაპიტანმა, მცველმა სორბერნმა საკუთარი მოედნიდან საჯარიმო გაიტანა და „მშრალი ანგარიშით" დამარცხებას გადაარჩინა გუნდი.

აი, ინგლისელებს კი ძალზე გაუჭირდათ ირლანდიელებთან თამაში. დუბლინში გამართული მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ისინი 6:7-ს აგებდნენ, მაგრამ ამ დროს მათი გარემარბი რ. ანდერვუდი მოულოდნელად გაექცა სამ მეტოქეს და ლელო გაიტანა.

მსაჯმა მატჩის ძირითად დროს 6 წუთი წაუმატა. ამ პერიოდში ინგლისელმა თიგმა ლელოთი დააგვირგვინა თანაგუნდელთა წარმატება — 16:7.

მაშ ასე, ინგლისსა და საფრანგეთს 6-6 ქულა აქვთ. ყველაფერი კი 16 მარტს გადაწყდება...

(საქ. ინფ.).

## რედაქტორი
## თენგიზ ბაჩეჩილაძე

## კარატეს მოყვარულთა საყურადღებოდ!

**საქართველოს კარატე-დო „სიტო-კაი"-ს ფედერაცია 9-10 მარტს არმიის სპორტულ კლუბში (დ. გურამიშვილის, 54, ვაკე-საბურთალოს გადასახვევთან) მართავს თბილისის ჩემპიონატს კარატეში.**

შეჯიბრება დაიწყება 10 საათზე.

ბილეთები გაიყიდება ტურნირის დღეებში აღნიშნულ მისამართზე.

გიწვევთ საინტერესო სპორტულ სანახაობაზე.

**საქართველოს კარატე-დო „სიტო-კაი"-ს ფედერაცია.**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები: მ. ძებამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, მ. კოსტავას, 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55**
**ხამდივნო — 93-97-52**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.**
**„მერანი" — 93-97-26, „მარაფე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. ...**

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20